



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია



თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000087965345620

№ 02-105-R

15 / ივნისი / 2020 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის დანართის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციისათვის, საქართველოს მთავრობის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. დამტკიცდეს ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის დანართი - სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საკვალიფიკაციო (დამამთავრებელი), ბაკალავრიატის მისაღები და მაგისტრატურაში გამოცდის ჩატარების საგანგებო გეგმა.
2. განისაზღვროს საგამოცდო ნამუშევრების უსაფრთხოდ დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები:
 - ა) მაია ტაბლიაშვილი - უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებით, მობილური ტელეფონით, საგამოცდო ნიმუშების ფოტო ასლების გადაღება, კომპიუტერში განთავსება და კომისიის წევრებისათვის დაგზავნა;
 - ბ) რუსუდან თაბაგარი - უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებით საგამოცდო ნამუშევრების შეგროვება და ფოტოასლის გადაღების შემდეგ პოლიეთილენის პარკში მოთავსება.
3. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელმმართველად

ნანა შარიქაძე

მსოფლიო პანდემიის COVID-19-ის პირობებში ინფექციური დაავადებებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების მიზნით დამტკიცდეს 2020 წლის 1 ივნისს N02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების ზოგადი გეგმის დანართი 1 „თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საკვალიფიკაციო (დამამთავრებელი), ბაკალავრიატის მისაღები და მაგისტრატურაში გამოცდის ჩატარების საგანგებო გეგმა“.

წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებულ ზოგად რეკომენდაციებს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მითითებებს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრძანება 01-227/ო დანართი N10 რეკომენდაციებს და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) რეკომენდაციებს.

„თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საკვალიფიკაციო (დამამთავრებელი), ბაკალავრიატის მისაღები და მაგისტრატურაში გამოცდის ჩატარების საგანგებო გეგმა“

მისაღები გამოცდების ჩატარება

ძირითადი რეკომენდაციები:

გამოსაცდელ პირთა მიღებისას სასწავლო დაწესებულებაში დაცულ იქნას შემდეგი წესები:

- უზრუნველყოფილ იქნას ყოველი საგამოცდო სექტორის ფართობის მხოლოდ 50%-ზე გამოსაცდელთა და მეთვალყურეთა დაშვება;
- უზრუნველყავით ნაკადის კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არა უმცირეს 3მ); გამოსაცდელი პირების რეგისტრაციისათვის დარბაზში წინასწარ ადგილების მონიშვნა (უსაფრთხო დისტანციის, მინიმუმ 3მ-ის დაცვით);
- უზრუნველყავით 5კვ.მ-ზე 1 ადამიანი;
- გამოიყენეთ რეგისტრატორის აღჭურვა სახის დამცავი ფარით და ნიღბით ან რეგისტრატორის სამუშაო მაგიდაზე დამცავი გამჭვირვალე ბარიერის გამოყენება;
- პედაგოგებისა და სტუდენტების, აგრეთვე შემოქმედებით ტურზე მოსული აბიტურიენტების შენობაში შეშვება და მიღება სასწავლო დაწესებულებაში უზრუნველყავით წინასწარ განსაზღვრული გეგმის/ცხრილის მიხედვით;

- ერთიან შესასვლელთან განხორციელდეს თერმოსკრინინგი, ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში მოახდინეთ აღრიცხვა და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინება.
- სასწავლო დაწესებულების შესასვლელში განთავსდეს დეზობარიერი, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
- თვალსაჩინო ადგილას გამოკრულ იქნას ინფორმაცია COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- დაშვებულ იქნას პედაგოგები და სტუდენტები სასწავლო დაწესებულებაში მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ნიღბები, საჭიროების შემთხვევაში სახის ფარები/დამცავი სათვალეები); მიაწოდეთ ინფორმაცია პერსონალს ინდივიდუალური დაცვისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენების, შემდგომ კი შენახვა/მოცილების თაობაზე;
- დარეგისტრირებულ აბიტურიენტებს მიაწოდეთ ინფორმაცია ინდივიდუალური დაცვისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენების, შემდგომ კი შენახვა/მოცილების თაობაზე;
- საგამოცდო პროცესი ჩატარდეს პერიოდული ბუნებრივი/ხელოვნური ვენტილაციის პირობებში.
- უზრუნველყოფილ იქნას საგამოცდო საათის დასრულების შემდგომ სანიტარული შესვენების გამოცხადება, სადაც განხორციელდება საგამოცდო აუდიტორიის სრული დეზინფექცია.
- განათავსეთ დეზინფექციისათვის საჭირო 60-70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარი სამუშაო ადგილზე პერსონალისათვის, ხოლო გამოსაცდელისათვის - ყოველი საგამოცდო სექტორის შესასვლელში;
- გახორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირის მიერ საერთო სამუშაო ფართის, სანიტარული წერტილების პერიოდული დეზინფექცია; უზრუნველყავით პერსონალისა და გამოსაცდელისათვის სველ წერტილებში ხელის ჰიგიენა წყლითა და თხევადი საპნით, ხოლო ხელის გასამშრალეზად განათავსეთ ერთჯერადი ხელსახოცები. გამოაკარით ხელის ჰიგიენის წესები;
- სექტორები, ოფისები და საერთო სარგებლობის ფართები აღჭურვით გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერებით **(სატერფულით გახსნის შესაძლებლობით)**, რომლებშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი. ნარჩენების პარკი ამოიღეთ და განკარგეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;
- საგამოცდო აუდიტორიებში მაგიდების განლაგებისას გამოყენებულ იქნას 3მ დისტანციის დაცვა;
- უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტთა/აბიტურიენტთა განთავსება სასწავლო მაგიდებთან იმგვარად, რომ არ აღმოჩნდნენ ერთმანეთისა და პედაგოგის პირისპირ;

სტუდენტები მაგიდებთან არ განათავსოთ ერთმანეთის პირისპირ; გამოყენებულ იქნას ცვლებში მუშაობის რეჟიმი;

- დაწესებულების ადმინისტრაციისათვის საოფისე სივრცეში ავეჯი ისე განალაგეთ, რომ დაცული იყოს უსაფრთხო დისტანცია;
- მრავალჯერადი გამოყენების კალმები, რომლებსაც ხშირად იყენებენ გამოსაცდელეები, ყოველი მოხმარების შემდეგ გაწმინდეთ სადეზინფექციო ხსნარით;
- აკრძალეთ გამოსაცდელი პირების მიერ ზედმეტი ნივთების საგამოცდო აუდიტორიაში შეტანა.
- გამოსაცდელ პირს შეუძლია შეიტანოს კალამი, ფანქარი, საშლელი, სათლელი, ბოთლი წყლით;

თერმოსკრინინგი და გამოსაცდელთა გამოცდაზე დაშვების პირობები:

- რეკომენდაციის თანახმად, თუ გამოსაცდელს გამოცდის წინა დღეებში ექნება მაღალი ტემპერატურა, მან უნდა ჩაიტაროს PCR-ტესტი და წარმოადგინოს ცნობა, რომ არ არის კოვიდით ინფიცირებული. ასევე, თუ აქვს ქრონიკული სიცხე, უნდა მოიტანოს სამედიცინო დაწესებულების ოჯახის ექიმის (ან ქრონიკული დაავადების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ექიმ-სპეციალისტის) ცნობა (ფორმა #100);
- თუ გამოსაცდელს 37.0C ან 37.0C -ზე მეტი ტემპერატურა აღენიშნა, 15 წუთში უნდა გადაუმოწმეთ ტემპერატურა ვერცხლისწყლის თერმომეტრით. გადამოწმების შემდეგ 37.50C-მდე (37.40C -ის ჩათვლით) შედეგის შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:
 - თუ გამოსაცდელს აქვს გამოცდამდე, არაუმეტეს 2-3 დღით ადრე, ჩატარებული და მიღებული PCR ტესტირების დასკვნა კოვიდ-უარყოფითი შედეგით, მაშინ მისი განთავსება ხდება ჩვეულებრივ სხვა გამოსაცდელეებთან საერთო დარბაზში. შემთხვევა კი აღინიშნება შენიშვნით, რომელსაც მომდევნო გამოცდაზე უნდა მიექცეს ყურადღება;
 - თუ გამოსაცდელს არა აქვს გამოცდამდე, არაუმეტეს 2-3 დღით ადრე, ჩატარებული და მიღებული PCR-ტესტირების დასკვნა კოვიდ-უარყოფითი შედეგით, გამოსაცდელის გამოცდაზე დაშვების საკითხის გადაწყვეტა ხდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმის მიერ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე, კერძოდ:
 - ✓ თუ სიცხის გარდა არ აღინიშნება რესპირატორული ინფექციისათვის დამახასიათებელი არც ერთი სიმპტომი (ხველა, ცემინება, სურდო, ქოშინი), გამოსაცდელი განთავსდება ჩვეულებრივ სხვა გამოსაცდელეებთან საერთო სექტორში.
 - ✓ იმ შემთხვევაში, თუ 37.0C-დან 37.40C-მდე ტემპერატურას თან ახლავს რესპირატორული ინფექციისათვის დამახასიათებელი რომელიმე სიმპტომი,

მაშინ გამოსაცდელის განთავსება ხდება ცალკე **სარეზერვო ოთახში**. ასეთმა გამოსაცდელმა PCR ტესტი სასურველია ჩაიტაროს მომდევნო გამოცდამდე

- ✓ **37.50C ტემპერატურისას** (რესპირატორული სიმპტომების **არარსებობის შემთხვევაშიც**) გამოსაცდელის განთავსება ხდება ცალკე სარეზერვო ოთახში ასევე რეკომენდებულია მომდევნო გამოცდამდე PCR-ტესტის გაკეთება.

- ტემპერატურის 37.50C -ზე მეტის შემთხვევაში:
- ✓ თუ გამოსაცდელს არ აქვს გამოცდამდე, არაუმეტეს 2-3 დღით ადრე, ჩატარებული PCR ტესტირების დასკვნა კოვიდ-უარყოფითი შედეგით, ის მოიხსნება გამოცდიდან და რეკომენდაციის თანახმად, უნდა მიმართოს ექიმს/დარეკოს 112-ზე;
- ✓ თუ გამოსაცდელს აქვს გამოცდამდე, არაუმეტეს 2-3 დღით ადრე, ჩატარებული PCR-ტესტირების დასკვნა კოვიდ-უარყოფითი შედეგით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმი აფასებს მის მდგომარეობას და რესპირატორული სიმპტომების არარსებობის შემთხვევაში, მაღალი ტემპერატურის მიუხედავად, განთავსდება ჩვეულებრივ სხვა გამოსაცდელთან საერთო სექტორში.

თუ გამოსაცდელს აქვს გამოცდამდე, არაუმეტეს 2-3 დღით ადრე, ჩატარებული PCR-ტესტირების დასკვნა კოვიდ-უარყოფითი შედეგით, მაშინ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმი აფასებს მის მდგომარეობას და რომელიმე რესპირატორული სიმპტომის არსებობის შემთხვევაში, გამოსაცდელის განთავსება ხდება სარეზერვო ოთახში. ასევე რეკომენდაციის თანახმად, შემდეგ გამოცდამდე უნდა მიმართოს ოჯახის ექიმს კონსულტაციის მიზნით

• **სარეზერვო ოთახის ფუნქციონირება**

- გამოსაცდელის სარეზერვო ოთახში განთავსება ხორციელდება თერმოსკრინინგის მონაცემების შესაბამისად.
- სარეზერვო ოთახი განკუთვნილია ერთი გამოსაცდელი და გამომცდელი პირისათვის.
- სარეზერვო ოთახად გათვალისწინებულ უნდა იყოს ისეთი ოთახი, სადაც ხორციელდება ბუნებრივი/ხელოვნური ვენტილაცია, აღჭურვილი სადეზინფექციო ხსნარით, covid 19- საინფორმაციო ნიშნებით, იატაკის მონიშვნითა და 2მ დისტანციის დაცვით. სარეზერვო ოთახის სველი წესით დასუფთავება და დეზინფიცირება ხორციელდება გამოსაცდელი პირის განთავსებამდე და გამოსაცდელი პირის ამ ოთახის დატოვების შემდგომ. უზრუნველყავით ოთახის პერიოდული განიავება, არანაკლებ 2 სთ-ისა.
- სარეზერვო ოთახში განთავსებული გამოსაცდელი პირი აღჭურვილ უნდა იქნას ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (პირბადე, ხელთათმანი, დამცავი ფარი/სათვალე, ბახილები).
- სარეზერვო ოთახში მყოფი გამომცდელი პირი უნდა აღჭურვოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (სამედიცინო ნიღაბი, სამედიცინო ხალათი, ბახილები,

დამცავი ფარი/სათვალე). სარეზერვო ოთახში გათვალისწინებულ იქნას ამ გეგმით დადგენილი კონდიციებისა და ვენტილაციის სისტემების მუშაობის პრინციპები;

საგამოცდო სექტორებში სამუშაო მაგიდების განთავსების წესები:

- სამუშაოდ გამოიყენეთ სექტორის მხოლოდ 50%;
- მაგიდებს შორის სიგანეში დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 2 მეტრისა, ხოლო ერთმანეთის მიმდევრობით განლაგებულ მაგიდებს შორის მანძილი არანაკლებ 1 მეტრისა.
- გამომცდელი, რომელსაც პირისპირ უწევს აბიტურიენტთან კონტაქტი დაცული უნდა იყოს პირბადით;
- გამომცდელი არ უნდა იდგეს აბიტურიენტის პირისპირ;
- გამომცდელსა და აბიტურიენტს შორის მანძილი არ უნდა იყოს 2 მ-ზე ნაკლები;

ზოგადი მოთხოვნები კონდიციებისა და ვენტილაციის სისტემებზე:

- უზრუნველყავით ბუნებრივი უსაფრთხო ვენტილაცია გარედან შემოსული ჰაერით;
- გამოიყენეთ ოთახების წინასწარი გაგრილების პრინციპი შემდეგი თანმიმდევრობით:
- სესიის დაწყებამდე საგამოცდო სივრცის დასუფთავება/დეზინფექცია;
- განიავება გაღებული ფანჯრებისა და კარის პირობებში, 30 წუთის განმავლობაში ორპირი ქარის პრინციპით;
- ე.წ. საყოფაცხოვრებო კონდიციონერის ჩართვა დასაშვებია სესიის დაწყებამდე, გამოსაცდელების სექტორში შესვლის დაწყების პერიოდამდე.
- სველი წესით დაიწმინდოს საგამოცდო სივრცე ყოველ 2 საათში;

შენიშვნა: პირველ სესიამდე შეიძლება პირდაპირ ჩაირთოს კონდიციონერი, თუ წინა დღეს სესიის ბოლოს მოხდა სველი წესით დალაგება/დეზინფექცია და განიავება.

საგამოცდო ნამუშევრების უსაფრთხოდ დამუშავება:

- ინფიცირების თავიდან აცილების მიზნით მიღებული საგამოცდო ნამუშევრების დამუშავება ხორციელდება შემდეგი ეტაპების გავლით:
 - საგამოცდო ნამუშევრების შეგროვება ხორციელდება აბიტურიენტებისგან ხელთათმანით, პირბადით;
 - შეგროვებული ნამუშევრები გროვდება დახურულ ტარაში, პოლიეთილენის პარკში შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ, რომელიც აღჭურვილი იქნება ხელთათმანით, პირბადით.
 - საგამოცდო ნამუშევრებით აღჭურვილი პოლიეთილენის პარკის გახსნა განხორციელდეს შესაბამის წინასწარ განსაზღვრულ აუდიტორიაში, სადაც წინასწარ განსაზღვრული პირები განხორციელებენ საგამოცდო ნამუშევრების

ფოტოასლის გადაღებას მობილური ტელეფონით. საგამოცდო ნამუშევრების გადამღები პირი აღჭურვილ უნდა იქნას ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანი, პირბადე, ხალათი).

- გადაღებული ფოტოები უნდა გადატანილ იქნეს კომპიუტერში და დაეგზავნოს კომისიას
- საგამოცდო კომისიას არ უნდა ჰქონდეს შეხება ფიზიკურად ნაწერებთან
- ოთახი, სადაც ხორციელდება საგამოცდო ნამუშევრებისთვის ფოტოს გადაღება აღჭურვილ უნდა იქნას სადეზინფექციო საშუალებითა და უზრუნველყოფილ უნდა იქნას ბუნებრივი/ხელოვნური ვენტილაციით.
- ნამუშევრის გამსწორებელი კომისია ასწორებს დიგიტალურ ნაშორმებს

საგამოცდო აუდიტორიის დალაგება:

- საგამოცდო ცენტრი დააღებთ თითოეული სესიის დაწყებისა და დასრულების შემდეგ;
- გააღეთ ფანჯრები და მაქსიმალურად გაანიავეთ სივრცე გამჭოლი ნიავის პირობებში;
- საგამოცდო აუდიტორიებად შესაძლოა გამოყენებულ იქნას მცირე და დიდი საკონცერტო დარბაზები.
- **მცირე დარბაზის** გამოყენების შემთხვევაში, უზრუნველყოფილ უნდა იქნას ხელოვნური ვენტილაცია და პერიოდული ბუნებრივი ვენტილაცია. კერძოდ, უზრუნველყავით მცირე დარბაზის არანაკლებ 2 სთ-ში ერთხელ განიავება 20-30 წთ-ის განმავლობაში და სველი წესით დასუფთავება/დეზინფექცია. მცირე დარბაზის გამოყენების შემთხვევაში, დასაშვებია კონდიციონერის მომდენ-გამწოვი ვენტილაციასთან ერთად.
- **დიდი საკონცერტო დარბაზის** გამოყენების შემთხვევაში უზრუნველყავით დარბაზის პერიოდული (არანაკლებ 1 სთ-იანი ინტერვალისა) 30 წთ-იანი განიავება და სველი წესით დასუფთავება/დეზინფექცია.
- სესიის დაწყების წინ საგამოცდო ცენტრი დაასუფთავეთ და დეზინფექცია ჩაატარეთ სველი წესით (მაგ. 0,5 %-იანი ქლორის შემცველი სადეზინფექციო ხსნარით);
- დაასუფთავეთ შედარებით სუფთა სივრცეებიდან (მაგ., საგამოცდო სექტორიდან) უფრო დაბინძურებული სივრცეების (სანიტარიული კვანძი) მიმართულებით;
- მაგიდების გამჭვირვალე ბარიერები და სხვა მცირე ზედაპირები დაამუშავეთ სადეზინფექციო ხსნარში (მაგ. 0,5 %-იანი ქლორის შემცველი ხსნარი) დასველებული ჩვრით ან შესაბამისი დანიშნულების ერთჯერადი ხელსახოცით;
- იმ ზედაპირებისათვის, რომლებიც შეიძლება დაზიანდეს ქლორშემცველი ხსნარების ზემოქმედების შედეგად, შესაძლებელია 60-70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ან სხვა შესაბამისი დანიშნულების ხსნარის გამოყენება;

- საყოფაცხოვრებო ქიმიის, ასევე სადუზინფექციო საშუალებების ნებისმიერი პროდუქტის გამოყენებისას დაცული უნდა იყოს მწარმოებლის ინსტრუქცია და უსაფრთხოების რეკომენდაციები;
- დასუფთავება-დალაგების პროცედურები ჩაატარეთ „ახალი კორონავირუსით (SARS-cov-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის №01-123/ო ბრძანების მე-6 დანართით (ახალი კორონავირუსით (SARS-cov-2) გამოწვეული ინფექციისადმი (COVID19) ექსპოზირებული არასამედიცინო ობიექტების დასუფთავების დროებითი რეკომენდაციები);

აკრძალულია :

- დასუფთავების მშრალი მეთოდების (მშრალი ცოცხითა და ჩვრებით) გამოყენება, რადგან ასეთ დროს შესაძლებელია მტვრისა და პათოგენური ბიოლოგიური აგენტების მოხვედრა ჰაერსა და სამუშაო გარემოს ზედაპირებზე. საგამოცდო ცენტრის სანიტარიული კვანძის/საპირფარეშოების დალაგება/დეზინფექცია: სანიტარიული კვანძების დალაგება, ინფექციის გადაცემის რისკების შემცირების მიზნით, აუცილებელია დადგენილი წესით ყოველი სესიის წინ რეგისტრაციის დასრულების შემდეგ (სესიის მიმდინარეობის პერიოდში) და ყოველი სესიის დასრულების შემდგომ;
- საპირფარეშოს დალაგება აუცილებელია სველი წესით და სარეცხი საშუალებებით წმენდის შემდგომი დეზინფექციით სათანადო წესით;
- დამლაგებლის ეკიპირებისათვის აუცილებელია • ნიღაბი; • ერთჯერადი ხალათი; • სპეციალური/სქელი ხელთათმანები (მრავალჯერადი); • თვალის დამცავი (სათვალე ან სახის ფარი).

აკადემიური გუნდის, ვოკალის და ჩასაბერი საკრავების სპეციალობების

საკვალიფიკაციო და მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის ჩატარება:

აკადემიური სიმღერის და ჩასაბერი საკრავების სპეცილობებზე სასწავლო დაწესებულება საკვალიფიკაციო და მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს შემდეგი წესების დაცვით:

- უზრუნველყავით ნაკადის კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არა უმცირეს 3მ); გამოსაცდელი პირების რეგისტრაციისათვის დარბაზში წინასწარ ადგილების მონიშვნა (უსაფრთხო დისტანციის, მინიმუმ 3 მ-ის დაცვით);
- პედაგოგებისა და სტუდენტების მიღება სასწავლო დაწესებულებაში უზრუნველყავით წინასწარ განსაზღვრული გეგმის/ცხრილის მიხედვით;
- ერთიან შესასვლელთან განახორციელდეს თერმოსკრინინგი, ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში მოახდინეთ აღრიცხვა, გათვალისწინებულ იქნას ცხელების აღმოჩენის შემთხვევაში გაცემული რეკომენდაციები.
- სტუდენტებსა და გამომცდელებს შორის დაცულ იქნას არანაკლებ 3მ. დისტანცია;
- სასწავლო დაწესებულების შესასვლელში განათავსდეს დეზობარიერი, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
- თვალსაჩინო ადგილას გამოკრულ იქნას ინფორმაცია COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- უზრუნველყოფილ იქნას პედაგოგთა და სტუდენტთა დახურულ სივრცეში დაშვება სასწავლო დაწესებულებაში მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ნიღბები, საჭიროების შემთხვევაში სახის ფარები/დამცავი სათვალეები);
- უზრუნველყოფილ იქნას პედაგოგები და სტუდენტები ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალელები ერთჯერადი ხელსახოცები);
- განათავსეთ დეზინფექციისათვის საჭირო 60-70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარი სამუშაო ადგილზე პერსონალისათვის და გამოსაცდელისათვის.
- გახორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირის მიერ საერთო სამუშაო ფართის, სანიტარული წერტილების დეზინფექცია; უზრუნველყავით პერსონალისა და გამოსაცდელისათვის სველ წერტილებში ხელის ჰიგიენა წყლითა და თხევადი საპონით, ხოლო ხელის გასამშრალეზად განათავსეთ ერთჯერადი ხელსახოცები. გამოაკარით ხელის ჰიგიენის წესები; უზრუნველყოფილ იქნას სახელურების, ლიფტის ღილაკების, მოაჯირების, კარების სახელურების და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სანიტარული დამუშავება პერიოდულად (2 საათიანი ინტერვალებით) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01- 123/ო ბრძანების ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ შესაბამისი დანართით გათვალისწინებული წესით.
- საერთო სარგებლობის ფართები აღჭურვით გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერებით (სატერფულით გახსნის შესაძლებლობით), რომლებშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი. ნარჩენების პარკი ამოიღეთ და განკარგეთ ერთჯერადი

ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;

- დამამთავრებელი კურსის აკადემიური სიმღერისა და ჩასაბერი საკრავების სტუდენტსა და კონცერტმაისტერს შორის სცენაზე მანძილი უნდა იყოს არა ნაკლებ 3 მეტრისა;
- ჩასაბერი საკრავების სპეციალობებზე გაითვალისწინეთ, რომ სტუდენტი დადგეს დეზობარიერზე და განთავსდეს მარლის დამცავი ბარიერის უკან;
- ჩასაბერი საკრავების სტუდენტთა მომდევნო შემდეგ ზედაპირები და იატაკი უნდა დაიწმინდოს ქლორის შემცველი სითხით; ხოლო ინსტრუმენტი 70% ალკოჰოლის შემცველი სითხით;

აკადემიური გუნდის სპეციალობაზე სასწავლო დაწესებულება საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს შემდეგი წესების დაცვით:

- აკადემიური გუნდის საკვალიფიკაციო გამოცდა და მაგისტრატურაში მისაღები გამოცდა ჩატარდეს ღია სივრცეში;
- გუნდის მომღერლებსა და დირიჟორს შორის მანძილი არ უნდა იყოს 3 მეტრზე ნაკლები;
- გუნდის მომღერლები არ უნდა იყვნენ განლაგებულნი ერთმანეთის პირისპირ და არ უნდა უყურებდნენ ერთმანეთს კეფაში;

პერსონალის ვალდებულებები:

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
- სამუშაოს შესრულებისას სრულად გამოიყენეთ ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომლებიც დამსაქმებელმა მოგაწოდათ;
- სამუშაოს დასრულების შემდეგ სადუზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ ის ადგილები და ხელსაწყოები, რომლებსაც იყენებთ მუშაობისას;
- ხელის ჰიგიენა ჩაიტარეთ ხშირად;
- გამოიყენეთ 60-70%-იანი სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გამშრალებას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირსა და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრეთ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება. გამოსაცდელთა ვალდებულებები:
- საგამოცდო ცენტრში არ შემოიტანოთ ზედმეტი ნივთები (გარდა გელიანი კალმისა და აუცილებელი ნივთებისა); სხვა შემთხვევაში ნივთები დატოვეთ ამ ნივთების შენახვისათვის განკუთვნილ ადგილას;

- საგამოცდო ცენტრში ნიღბის ტარება აუცილებელია;
- დაიცავით წესები, რომლებიც დაკავშირებულია ვირუსის გავრცელების პრევენციულ ღონისძიებებთან.